ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5503972

ნომერი: AR1831409

თარიღი : 14.06.2021

გაცემის თარიღი : 15.07.2021

გაცნობის თარიღი : 15.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლერწმის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა კვიკვინია პ/ნ 58001005154
- თბილისი, მოსკოვის გამზირი 14ა, ბინა 154

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 14 ივნისის №AR1831409 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2020 წლის 18 მარტის №4904576 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 18 ივნისის №5458495 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული. კერძოდ, ლიფტის შახტების ფართობები კვლავ შეყვანილია კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში. ვინაიდან, ლიფტის შახტის ფართობი არ არსებობს (სიცარიელეა), აღნიშნული ფართობი ამოღებულ უნდა იქნას კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობიდან (გარდა -3.85 ნიშნულზე არსებული ფართობისა, რომელიც შედის კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში). ამასთან, -3.85 ნიშნულის გეგმაზე დატანილი პანდუსის ფართობი (119.2 კვ.მ.) არასწორად არის შეყვანილი კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში. აღნიშნული ფართობი არც ერთი ფუნქციის ფართობში არ შედის. შესაბამისად, ამოღებულ უნდა იქნას კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობიდან. ასევე, +3.80, +6.90, +10.00, +13.10 და +16.20 ნიშნულის გეგმებზე დატანილია როგორც გასწორებული, ასევე ძველი ექსპლიკაციები (დატანილ უნდა იქნას მხოლოდ გასწორებული ექსპლიკაციები, ხოლო დანარჩენი უნდა იქნას წაშლილი). გარდა ზემოაღნიშნულისა, საცხოვრებელ ფართობში კვლავ შეყვანილია კოლონების და საჰაერო შახტების ფართობები. აღნიშნული ფართობებიც ამოღებულ უნდა იქნას საცხოვრებელი ფართობიდან. ამასთან, გეგმებზე ექსპლიკაციებში კ-2-ის საანგარიშო ფართობები არასწორად არის გამოტანილი. აღნიშნული ფართობები შესაბამისობაში უნდა იყოს სამსახურის 2020 წლის 18 მარტის №4904576 ბრძანებით შეთანხმებულ ვექტორული ფაილში ატვირთულ კ-2-ის საანგარიშო კროკებთან. გარდა ამისა, განმეორებითი განცხადებით წარმოდგენილია სამსახურის 2020 წლის 18 მარტის №4904576 ბრძანებით შეთანხმებული გეგმებიც. აღნიშნული გეგმების წარმოდგენა საჭირო არ არის. წარმოდგენილ უნდა იქნას მხოლოდ ის გეგმები რომლებზეც ხდება ფართობების გასწორება, გეგმარების ცვლილების გარეშე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა საცხოვრებელ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2020 წლის 18 მარტის №4904576 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები ფართობების (მათ შორის ექსპლიკაციების) გასწორებით, გეგმარების ცვლილების გარეშე.
ვინაიდან სამსახურის 2021 წლის 18 ივნისის №5458495 ბრძანებას გაეცანით 2021 წლის 18 ივნისს, ხოლო განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 2021 წლის 12 ივლისს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2021 წლის 14 ივნისის №AR1831409 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.